


სპორტიელი

სპორტული ჟურნალი

დიდი ეჭა!





3 ბაჩო სვანიძე
ყველა გვიგოს: საქართველო!

10 ბაჩო სვანიძე
თავს ზეგმთ ქალა არ არის! იმ ირლანდია!

12 ბაჩო სვანიძე
დსოფლიოს თასი 2003. ანგრალი

16 მამუკა კვანტალიანი
ივთარაია ზარმაცებინა და თვენებინათვის

18 ბიორგი დარჯანია
აჟოდის? ნათება?

20 ირაკლი ნინიძე
წასი წასია: ერთი გრანდი უნდა გავარდეს

22 ვივა გურასაშვილი
კურბანიქა უარეიდანს ქართველოვა გაულვივა

24 ბიორგი დარჯანია
წინათგრძევა

14-15 გვერდი. საქართველოს მორაგბეთა ნაკრები. ბადრი კეთილაძის ფოტო I ილია ზედგინიძე და ლევან ცაბაძე. სრულდება საქართველოს პიზნი. ბადრი კეთილაძის ფოტო II თედო ზობიზაძე ვაჟიშვილთან ერთად ბადრი კეთილაძის ფოტო 6 გვერდი. ვია ლაბაძემ მორიგი აუტი მოიგო ავთანდილ გურასაშვილის ფოტო III სტარტზე. REUTERS IV ჩაბნელებული „ლოკომოტივი“. ბადრი კეთილაძის ფოტო



რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
 რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულიანაშვილი
 ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაგველიძე
 სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი
 ოპერატორი მარიამ ტაბიძე

მრჩეველთა საბჭო: ვახტანგ ბზიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

გაზეთი სარბიელის დაამტკიცა

ჩვენთან ურნალ «სარბიელი» – 93 16 08

გერმანიის
განმანათლებლო
სამსახური



მთიდან მთამდე, ზღვიდან ზღვამდე, ბარიდან ბარამდე, ყველაზე გაიგოს: საქართველო!

გერმანიის
განმანათლებლო
სამსახური



მატჩის შემდეგ ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი მორაგებებმა პაერში აბურთავეს

ბარო სვანიძე

თუ ხარ ქართველი, გვერდით მდგომს ხელი ჩასჭიდე და დასცხე ისეთი ყიფინა, რომ მთიდან მთამდე, ზღვიდან ზღვამდე და ბარიდან ბარამდე ყველამ გაიგოს — საქართველომ რუსეთი დაამარცხა და მსოფლიოს თასზე გავიდა!

ასე ეხმაურება უპოპულარესი სარაგბო საიტი Planet.rugby 13 ოქტომბრის საქართველო-რუსეთის მატჩს. ჩვენ ეს დავამატეთ: ქართველმა მორაგებებმა შეძლეს ის, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სპორტის გუნდურ სათამაშო სახეობებში ვერც ერთმა ნაკრებმა ვერ შეძლო — მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. აქამდე ასეთი რამ ისევ მორაგებებმა შეძლეს. ჩვენი შვიდაცა

გერმანიის
საგარეო
აღმოსავლელი
საზღვრო
სამსახური



მთიდან მთამდე, ზღვიდან ზღვამდე, ბარიდან ბარამდე, ყველაზე გაიგოს: საქართველო!

გერმანიის
საგარეო
აღმოსავლელი
საზღვრო
სამსახური



მატჩის შემდეგ ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი მორაგებებმა პაერში აბურთავეს

გარეო სპანიქა

თუ ხარ ქართველი, გვერდით მდგომს ხელი ჩასჭიდე და დასცხე ისეთი ყოინა, რომ მთიდან მთამდე, ზღვიდან ზღვამდე და ბარიდან ბარამდე ყველამ გაიგოს — საქართველომ რუსეთი დაამარცხა და მსოფლიოს თასზე გავიდა!

ასე ეხმაურება უპოპულარესი სარაგბო საიტი Planet.rugby 13 ოქტომბრის საქართველო-რუსეთის მატჩს. ჩვენ ეს დავამატოთ: ქართველმა მორაგებებმა შეძლეს ის, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სპორტის გუნდურ სათამაშო სახეობებში ვერც ერთმა ნაკრებმა ვერ შეძლო — მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. აქამდე ასეთი რამ ისევ მორაგებებმა შეძლეს. ჩვენი შვიდკაცა

სპორტული ცხოვრება



ხელი-ხელ ჩაკიდებული ბორჯღალოსნები ილია ზედგინიძემ გამოიყვანა

ვასილ კაცაძის შემწერებელი ორი რუსიც არ იყო

სპორტული ცხოვრება



ნაკრები 2000 წელს მსოფლიოს თასის მატჩში დაწინაურდა და მე-10 ადგილიც დაიკავა.

2002 წლის 13 ოქტომბრის დღი დადგა ქართული რაგბის 40-წლიან ისტორიას არ ახსოვს. სწორედ ამდენი დრო გავიდა, რაც ჩვენში ოვალურ ბურთის ეზიარნენ. ამ დღეს თაობები ელოდნენ. ეს იყო გზა იმედგაცრუების და სიხარულის, დაცემის და აღზევების, მწარე მარცხისა და დიდი გამარჯვების. ეს იყო გზა, რომელმაც ყველაფერი დაიჭრა და რომლის ბოლოს გველოდა ახდენილი ოცნება და სიხარულის უღვევი ცრემლი.

მოგებაც არის და მოგებაც. კარგია, რომ მსოფლიოს თასის გათამაშებაში გავიდეთ, მაგრამ იმასაც ხომ ჰქონდა მნიშვნელობა, ვის მოვუგებდით. განა პორტუგალიას ან ესპანეთს რომ მოუგებ, ეს იფიქრა, რაც რუსეთის დამარცხება? იმ რუსეთის, რომელიც არსებობის მანძილზე სულ გემუქრება, სულ შენი გაჭყვლეტა უნდა და ერთი სული აქვს, მსოფლიოს რუკიდან გაგაქროს, ერთი ამოსუნთქვით გადაგყლაპოს. ისე მოხდა, რომ რუსეთი ახლა სპორტშიც შემოგვეჭრა და კიდევ ერთ ქართულ ოცნებას უპირებდა დასამარებას, მაგრამ ხალხის გულიდან ამოხეთქილმა ხმამ და ბორჯღალოსანთა სულმა ორთავა არწივის მართვეები ბუდეშივე ჩაატოვა.

ახლა არ იყო ისეთი აუიოტაუი, როგორც 3 მარტს, ამავე გუნდების მატჩზე. არც იმდენი ხალხი მისულა სტადიონზე, მაგრამ ახლა საქართველო უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მაშინ. მორაგბეებმა დაამსხვრიეს აზრი, რომ ქართველებს გადამწყვეტი ბრძოლის მოგება აღარ შეეგვიძლია. დიახაც შეეგვიძლია, თანაც როგორ!

ასეთი აგრესიული, დალაგებული და მობილიზებული ბორჯღალოსნები კარგა ხანია არ გვინახავს. ბიჭები თავს იკლავდნენ ბრძოლის ველის ყოველი გოჯისთვის. იყო

დავითი და ვოლოდი: ლევან კაბაძე და სერგეი სერგევი



სპორტული ცხოვრება

ძელების მტკრევა და სისხლის ღვრა, ოღონდ ეს რაგბის ჯენლტმენურ არსს არ გაცდენია, თორემ რაგბიში და თანაც ასეთ მატჩში რომ დაკა-დაკა იქნებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა.

რაგბი გუნდური თამაშია და ვინმეს გამოყოფა უხერხულია, მაგრამ ჩვენი რამდენიმე მოთამაშის თავდადება განსაკუთრებით არ ავლნიშნოთ, არ შეიძლება. თელ ზიბზიბაძემ მთელი მატჩი იომა და რამდენჯერმე დაკარგული ბურთი მოგვაგებინა — ერთხელ კი აშკარა ლელოს გადაგვარჩინა. ილია ზედგინიძისთვის ეს იყო კარიერის ალბათ უმთავრესი გამოცდა. ნაკრების ახალი კაპიტანი მთელი მატჩი მაგრად იდგა, ნერვი არ ასტოკებია და წარბი არ შეუხრია. ბორჯღალოსნებს მართლაც გაწონასწორებული და მეომარი კაპიტანი ჰყავთ. ტანმორჩილი ირაკლი აბუსერიძე დიდხანს ემასხოვრება რუსთა ვოლით მე-8 ნომერს ვიანესლავ ზიკოვს. გამოიტანდა თუ არა შერკენებიდან ზიკოვი ბურთს, „აბუ“ ზურგზე მოახტებოდა და მუჯღლუგუნებით ძირს დასცემდა, რითაც მეტოქის შეტევას ჩანასახშივე კლავდა და ლევან ცაბაძე, იგივე „ლეონსიო“, ხალხის უსაყვარლესი მორაგბე და ჩასკენილი, გულჩვილი დევი. „ლეონსიო“ აღარ არის ბორჯღალოსანთა კაპიტანი, მაგრამ უსამკლაუროდაც ლიდერია, ისევე ის ცაბაძე, თავს რომ აკლავს მეტოქეს და საკუთარ ჯანმრთელობას არად ავდებს. საქართველოს ჰიმნზე ცაბაძემ აიცრემლა, მერე კი რუსთა ხროვაში ბრძოლით იკვლევდა ლელოსკენ გზას. ცაბაძემ გაიტანა თავისი ლელო და სიმბოლურია, რომ სწორედ „ლეონსიოს“ ლელო გამოდგა მატჩის გარდამტეხი მომენტი.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ცაბაძის ლელო ქართველთაგან ერთ-ერთმა საუკეთესო



რუსთა ჯგროში ლევან ცაბაძე უშიშრად მიიკვლევდა გზას

ბრძოლა იყო ჰერმესი და მიწაზეც. თელ ზიბზიბაძემ ორივეგან იომა



ბალიკო ჯიმშელაძემ დაცვაში და შეტევაშიც ერთობ იყოჩაღა





ბაზილიკაში




სომ მალხაზ ურჯუკაშვილმა გარდასახა მატჩში მეორედ და საბოლოოდ დააწინაურა ჩვენები. მანამდე რუსებმა იძალეს. მართლაც ძლიერი მე-10 ნომრის კონსტანტინ რაჩკოვის მშვენიერი ლელოთი და არეკნით და სიმონოვის ორი ჯარიმით 6:3 გვიგებდნენ. ბორჯღალოსანთაგან ურჯუკაშვილმა შეაგდო ორი ჯარიმა. სხვათა შორის, ნაკრებში მახოს ნათლობის მატჩი, ოთხი წლის წინ, სწორედ რუსეთთან შეხვედრა იყო. მაშინ 18 წლის ბიჭმა ოთხი ჯარიმა გაიტანა და საქართველოს 12:6 მოაგებინა. ცაბაძის ლელო მართლაც დროული იყო, თანაც რუსებს დაემტვრათ (ამაში ჩვენების ხელიც ერია) გუნდის ტყინი რაჩკოვი და მათმა შეტევებმაც სიმწვავე დაკარგა. ქართველებმა კი სწორი ტაქტიკა აირჩიეს: ბურთი ფეხით მეტოქის ნახევარზე გადაჭონდათ და იქ, მის ტერიტორიაზე ებრძოდნენ.

მეორე ტაიმში ანგარიში ერთხელ შეიცვალა და ისიც ჩვენს სასარგებლოდ: ურჯუკაშვილმა აბუსერიძის ნაომარი ჯარიმა გარდასახა ქულეებში და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

აბა, ამის შემდეგ დაიწყო თუ დაიწყო! რუსები ყოველნაირად ცდილობდნენ შემოტევას, ჩვენები კი მუშტებით, ბოჭვით თუ შეტაკებით აჩერებდნენ მათ. მანამდე ტაიმის დასაწყისში, ბორჯღალოსნებს შეეძლოთ მეორე ლელო გაეტანათ. რუსთა ლელოსთან ხუთ მეტრში დანიშნული შერკინება რამდენჯერმე ჩაიქცა და ჩვენი მეტოქეები ტექნიკურ ლელოს მსაჯის ლიბალობის წყალობით გადაურჩნენ. მსაჯი ვახსენეთ და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ირლანდიელმა რეფერიმ ალენ როლანმა შესანიშნავად იმსაჯა. ევროპულ მსაჯობას მიუჩვენებელი რუსები (მათ მხოლოდ სამი ლეგიონერი ჰყავთ) ხშირად ჯარიმდებოდნენ, საფრანგეთში და ევროტურნირებში გამოწვრთობილი ჩვენი მორაგბეები კი როლანს დასჯის საბაბს არ აძლევდნენ.

შეხვედრის ბოლო წუთზე რუსეთმა მაგრად შემოგვიტია. ჩვენების 22-ში მარო გაშალეს, მაგრამ ბურთიან ფოლხენკს ზიზობაძე შესასკდა და ოვალი წინ გააგდებინა. ჯიმშელაძემ, რომელიც მთელი მატჩი დაცვაში შეუვალა იყო, ბურთი აუტში გააგდო და...

გახარებული გულშემატკივრები ერთმანეთს ეხვეოდნენ. კლოდ სორელი და მისი ფრანგი თანაშემწენი ხელგადახვეულები პატარა ბავშვებივით წრეში ხტუნავდნენ. საქართველოს ნაკრების კურატორი გაა ჭუმუ-



ბაზილიკაში

ბაზილიკაში



შერკინებაშიც და მის გარეთაც დანდობა არ იყო. ამის დასტური რუსი ოლეგ შუკაილოვისა და ჩვენი მალხაზ ურჯუკაშვილის დასისხლიანებული სახეებია. ირაკლი აბუსერიძე (ბურთით) ქართველთაგან ერთერთი საუკეთესო გახლდათ

რიბე სიხარულისგან ტიროდა. ამ ალაღმა კაცმა 25-წლიანი უღვაში გასახდელშივე მოიპარსა — პირობა მქონდა დადებულიო. ხარობდა დიდი და პატარა, სიხარულისგან ღრიალებდა რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე. მოედანზე სავარძელს მიჯაჭვული ორი ინვალიდი შეიყვანეს, რომლებსაც ბორჯღალოსნებმა აწ უკვე რელიკვია — თავიანთი მაისურები აჩუქეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზის — წმინდა გიორგის ხატის კოცნით ლევან ცაბაძემ გულშემატკივართა ალყას თავი დააღწია და გასახდელისკენ ძლივს გაიკვლია გზა. შესასვლელთან შეჩერდა, ჩაისუნთქა და საქართველოს გაუმარჯოს-ჯოს-ჯოს ძახილით თვალცრემლიანი დაემშვიდობა გულშემატკივარს.

შერე იყო ლხინი რესტორან „უშაში“, რომელიც დილაძე გაგრძელდა, ისევე, როგორც თბილისის ქუჩებში დროშებმოფრიალე მანქანების საყვირებით გრიალი.

ქართველი ერი დილაძე ხარობდა. ასეთი გამარჯვება თავისით არ მოდის. ასეთი გამარჯვება ლომთა ხვედრია!

ბადრი ამთილაძე



ბადრი ამთილაძე



სსპ თბილისი. ეროვნული.
13 ოქტომბერი. 15 საათი

საქართველო 17:13 რუსეთი

საბარტყელი: ხამაშურიძე, ურჯუაშვილი, ზიზიბაძე, აღანია, კაცაძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე, შველიძე, გიორგაძე, ცაბაძე (რატიანიძე 63), ნადირაძე, დიდუბულიძე, მჭედლიშვილი (ჩხაიძე 63), ლაბაძე, ზედგინიძე(კაპ.)

1 ლ: ცაბაძე (40); **4 ს:** ურჯუაშვილი (5, 28, 35, 61)

რუსეთი: დიშენკო, სიმონოვი, კორობეინიკოვი, კუზნი, ა. სერგეევი, რაჩოვი (ზაკარალოვი 41), მოტორონი; შუკაილოვი (სროკინი 63), რომაჰი (ნიკოლაიჩუკი 74), მენდრიჩი (ტრაგვინი 74), ფედჩენკო, ს. სერგეევი (კაპ.), ფოლხენკო, გრაჟოვი, ზიკოვი (აზარენკო 77)

1 ლ: რაჩოვი (29); **1 გ:** სიმონოვი (30); **1 ს:** სიმონოვი (1); **1 ა:** რაჩოვი (23)

მსაჯე: ალენ როლანი (ორლანდი)

ბადრი ამთილაძე





უცნაური რამ მოხდა 13 ოქტომბერს: თბილისის ქუჩებში ხალხი გამოვიდა, რათა ეამაყათ, რომ ქართველები არიან. დაგვეხმარეთ, გავგახსენეთ უახლესი ისტორიიდან სხვა ასეთი შემთხვევა.

13 ოქტომბერი იმითაც გახლდათ უცნაური, რომ თხუთმეტმა ქართველმა ერთი მიზანი დაისახა. ჰიმნზე აცრემლდა, იბრძოლა და... დმერთო, დიდებული, ისინი ერთმანეთს მხარში ედგნენ.

ვინ იყვნენ, ხელისუფალნი? არა!
მეურნენი? არა!
ქალაქელები? არა!
სოფლელები? არა!
ფეხბურთელები? არა!
მაშ ვინ?

ვინ და — ილო, ლეონსიო, გლობუსა, გოდორა, ვიქტორა, ლაბო, აბუ, პალიკო, ლომუ, მახო, ანტილოპა, პულე, პანკრო, ვანო, თედო, ჩხაო და ტატო — საქართველოს მორაგბეთა ნაკრები!



ორასობი
საზარ

ორასობი
საზარ

ორასობი
საზარ

თავს ზეპოთ ძალა არ არის!

იმ ირლანდიაა!

REUTERS



ამ ეპიზოდში ვანო ნადირაძემ პიტერ სტრინგერი გადათელა

ბარო სვანიძე

28 სექტემბერს საქართველოს ნაკრები წინასწარ იყო განწირული. ეს კარგად იცოდნენ ირლანდიელებმა, ეს იცოდნენ ბორჯღალოსნებმა და ეს იცოდა ჩვენმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა.

მიუხედავად ამისა, სორელმა საბრძოლო შემადგენლობა დააყენა. ერთი გამონაკლისის გარდა: მოიერიშე ვია ლაბაძეს ყვრიმალის ძეგლი ჰქონდა გატეხილი და მატჩს ტრიბუნიდან უცქერდა. მატჩის წინ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ლევან ცაბაძის ნაკრების კაპიტნობიდან ჩამოქვეითების შე-

მდეგ სორელმა სამკლავური ვიქტორ დიდებულებს გადასცა, მაგრამ ირლანდიასთან მატჩამდე გუნდის ყოჩად 25 წლის ილია ზედგინიძე დანიშნა. წინააღმდეგი არავინ ყოფილა და ილოც ბორჯღალოსანთა მე-11 კაპიტანი გახდა.

საბრძოლო რაზმის გამოყვანამ ბორჯღალოსნები დიდი ანგარიშით წააგებას ვერ გადაარჩინა — ჩვენებმა წააგეს უფრო დიდი სხვაობით, ვიდრე რუსეთი დამარცხდა იმავე ირლანდიასთან კრასნოიარსკში (3:35). ასე რომ, 13 ოქტომბერს გადამწყვეტ ჯახში რუსეთთან ქართველების გუნდის მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს.

ჩვენთვის სასიამოვნო ის მოხდა, რომ ბორჯღალოსნებმა ორი ლელო გაუტანეს ირლანდიელებს, რაც ბობოლა ექვსი ერის ნებისმიერ წევრს უჭირს. ეგებ ეს ორი ლელო ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ირლანდიასთან 32 ქულაზე ნაკლებით წაგება. თანაც, ოთხი წლის წინ საქართველომ იმავე „ლენსდაუნ როუდზე“ 0:70 წააგო ირლანდიასთან, ახლა კი ნაკლები გაუშვა და მეტი გაიტანა, რაც ბორჯღალოსანთა პროგრესზე მიუთითებს, — ეს საკამათო აღარაა.

ჩვენებმა ლელოები მეორე ტაიმში გაიტანეს. პირველად „ქართველ ლომულ“ წოდებულმა ვასილ კაცაძემ გამოიჩინა თავი, რომელმაც კახა ალანია შეცვალა. მეორე ლელო ბესიკ ზამაშურიძისა იყო. „ანტი-ოლაპა“ შესაშურ ფორმაში მყოფი ირაკლი აბუსერიძის შესანიშნავი პასი 5 ქულად გარდასახა, მანამდე კი ბორჯღალოსნებმა შერკინების ძირითადი ფრთა დავით ბოლდაშვილი მოისაკლისეს. დათომ მხრის მძიმე ტრავმა მიიღო და სამი-ოთხი თვით გამოაკლდა სამშოს. ბოლდაშვილი ახალბედა ირაკლი გუნდიშვილმა შეცვალა, რომელიც 122-ე ბორჯღალოსანი გახდა.

სანამ ჩვენები ლელოებს გაიტანდნენ და ესოდენ ძლიერ მეტოქეს 14 ქულას აართმევდნენ, ირლანდიელებმა ექვსი ლელო მიითვალეს და 49:0 გვიგებდნენ.

ანგარიშში სხვაობის შენარჩუნება ჩვენებმა ვერ შეძლეს. ვეტერანმა მეკლედ მთიულიშვილმა აკრძალული ილეთით შებოჭა მეტოქე და მსაჯს თავი 10 წუთით გაამეკვბინა. ირლანდია ის გუნდია, რომელიც რიცხვნაკლულიც მოვიგებს, ახლა კი თავად აღმოჩნდა მეტობაში და ეს შანსი ხელიდან არ გაუშვია. „სამყურებმა“ კიდევ ორი ლელო გაიტანეს და 49-ქულიანი სხვაობა ადადგინეს.

მატჩის შემდეგ ირლანდიელთა მწვრთნელმა ედი ოსალივანმა თქვა: „ქართველებმა ითამაშეს ისე, როგორც შეეძლოთ, ჩვენ

კი მეტი შეგვეძლოს. დღეს ჩემებმა შესაძლებლობის ნახევარზე ცოტა მეტი ვგორავთ, რაც გასაკვირი არ არის, ციმბირში გამადებელი მოგზაურობის შემდეგ ბიჭები გამოფიტულები იყვნენ“.

ვასილ კაცაძემ ირლანდიელ მცველებს თავი დააღწია და ლულო გაიტანა

REUTERS



REUTERS



**დუბლინი. «ლანსაუნ როუდი»
28 სექტემბერი.**

ირლანდია 63:14 საქართველო

ირლანდია: დემსი, კელი, ოდრისკოლი, მაგსი (პენდერსონი 65), შიკი, ოგარა (პემფრიზი 60), სტრინგერი (გ. ისტერბი); კორიგანი, ბირნი (შეინი 71), პეისი (უოლესი 74), ლონგველი (კულენი 74), ოკელი, ს. ისტერბი (ქეინლანი 56), გლისონი, ფოლი (კაპ)
8 ლ: ოდრისკოლი (2), შიკი, მაგსი, დემსი, ს. ისტერბი, ქეინლანი, გ. ისტერბი; 7 გ: ოგარა (5), პემფრიზი (2); 3 ს: ოგარა
საძარმხმელა: სამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიზიბაძე, აღანია (კაცაძე 41), ხეხელაშვილი (იოვანე 69), ჯიმშელაძე, აბუსერიძე, შველიძე (მთიულაშვილი 69), გიორგაძე, ცაბაძე (რატკიანიძე 69), ნადირაძე, დიდუბლიძე, ბოლლაშვილი (გუნდიშვილი 41), მჭედლიშვილი (62), ჩხაიძე, ზედგინიძე (კაპ)
2 ლ: კაცაძე, სამაშურიძე; 2 გ: ურჯუკაშვილი
მსაჯე: ნაიჯელ უილიამსი (უელსი)



მოუსვენარი პიტერ სტრინგერი შეტევას არ აყოვნებდა

ვიქტორ დიდუბლიძემ მალკოლმ კელი შებოჭა



მსოფლიოს თასი 2003. ავსტრალია

40 რაუნდები - 22 ნოემბერი




მსოფლიოს თასის მეხუთე გათამაშება 2003 წლის შემოდგომაზე ავსტრალიაში გაიმართება. 20 ნაკრები 4 ხუთგუნდიან ჯგუფში განაწილდება. ჯგუფში ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გადის. ფინალურ ეტაპზე საასპარეზოდ პირდაპირ დაუშვებს 1999 წლის მსოფლიოს თასის მეოთხედფინალისტები: ავსტრალია, საფრანგეთი, სამხრეთი აფრიკა, ახალი ზელანდია, უელსი, არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია. დანარჩენი მონაწილეები შესარჩევმა ტურნირებმა გამოავლინა. გასარკვევი დარჩა ბოლო ორი საგზურის ბედი, რომელთა მფლობელებსაც რეპეშაჟი (სანუგეშო ტურნირი) დაასახელებს. ეს ტურნირი „შინ და სტუმრად“, პრინციპით იმართება ანუ გუნდები ორმატრიან დუელში გაარკვევენ ურთიერთობას. რეპეშაჟი 1-ში მდგომარეობა ასეთია: რუსეთ — ესპანეთს შორის გამარჯვებული ტუნისს შეხვდება, ამათში უკეთესი კი — აშშ-ს. რეპეშაჟი 2: პაპუა ახალი გვინეა ან კუკის კუნძულების ტონგა/ სამხრეთ კორეა.

A ჯგუფი	C ჯგუფი
ავსტრალია	სამხრეთ აფრიკა
არგენტინა	ინგლისი
ირლანდია	სამოა
რუმინეთი	ურუგვაი
ნამიბია	საქართველო
B ჯგუფი	D ჯგუფი
საფრანგეთი	ახალი ზელანდია
შოტლანდია	უელსი
ფიჯი	კანადა
იაპონია	იტალია
რაჰეზაჟი 1	რაჰეზაჟი 2

ჩვენი ჯგუფის განრიგი	
	11 ოქტომბერი
სამხრეთ აფრიკა —	ურუგვაი (პერტი, სუბიაკო ოვალი)
	12 ოქტომბერი
საქართველო —	ინგლისი (პერტი, სუბიაკო ოვალი)
	15 ოქტომბერი
სამოა —	ურუგვაი (პერტი, სუბიაკო ოვალი)
	18 ოქტომბერი
სამხრეთ აფრიკა —	ინგლისი (პერტი, სუბიაკო ოვალი)
	19 ოქტომბერი
საქართველო —	სამოა (პერტი, სუბიაკო ოვალი)
	24 ოქტომბერი
საქართველო —	სამხრეთ აფრიკა (სიდნეი, ოზი სთედიუმი)
	26 ოქტომბერი
ინგლისი —	სამოა (მელბურნი, კოლონიალ სთედიუმი)
	28 ოქტომბერი
საქართველო —	ურუგვაი (სიდნეი, ოზი სთედიუმი)
	1 ნოემბერი
სამხრეთ აფრიკა —	სამოა (ბრისბენი, ბელიმორი)
	2 ნოემბერი
ინგლისი —	ურუგვაი (ბრისბენი, ბელიმორი)

მსოფლიოს ყველა ჩემპიონი

1987 ახალი ზელანდია
 1991 ავსტრალია
 1995 სამხრეთ აფრიკა
 1999 ავსტრალია



რაგბიში მსოფლიოს თასის გათამაშების იდეა ფრანგებისა იყო, მაგრამ მსოფლიო რაგბის კონსერვატორმა მამებმა ამ იდეის განხორციელება ოცდაათ წელიწადს გააჯანჯლეს. ეს დრო მსოფლიოს თასის გამართვის მიზანშეწონილობის დამტკიცებას დასჭირდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ყინული გადნა და სიტყვას საქმეც მოჰყვა: 1985 წელს პარიზში, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) საგანგებო კრებაზე გადაწყდა, რომ 1987 წლიდან ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარებულიყო რაგბის მსოფლიო თასის გათამაშება. თასს „ვებ ელისის თასი“ ეწოდა.

ვებ ელისი ლევენდის სტუდენტის გმირია. ლევენდა კი ასეთია: საუკუნისწინანდელ, ინგლისში ორი კოლეჯის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრაში ელისმა ბურთი ჩაიხუტა, ასე ირბინა მეტოქის კარამდე და იქ დაამიწა. თქმულებას თუ ვენდობით, რაგბიც აქედან წამოვიდა.

პირველ მსოფლიოს თასს 1987 წელს ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ ზიარად უმასპინძლეს. კონსერვატიზმმა აქაც იქონია გავლენა და მონაწილე 16 ქვეყანა რა-

გბის საერთაშორისო საბჭომ თავისი არშინით შეარჩია.

1981 წელს რაგბის უპირველეს ტურნირს ხუთი ერი მასპინძლობდა (ინგლისი, საფრანგეთი, შოტლანდია, უელსი, ირლანდია). IRB-მ კვლავ კონსერვატიული გზა აირჩია და შესარჩევი ტურნირის იმგვარი ფორმატი შეიმუშავა, რომელშიც მარტო ძლიერების ინტერესები იყო გათვალისწინებული. იგივე განმეორდა 1995 წელსაც სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს თასზე. ფორმატი მხოლოდ 1999 წლისთვის დაიხვეწა და ყველა ბოლოდამ იკადრა შესარჩევი ტურნირის გავლა. ბოლო მსოფლიოს თასის გამართვის პატივი კვლავ ხუთ ერს ერგო, მათში უფროსი კი უელსი იყო.

მსოფლიოს თასის გათამაშებამ აშკარად გაამართლა. მრავლად იყო საინტერესო და დაძაბული ჯახები. პატარა-პატარა სენსაციები და მატჩები, რომლებიც სამუდამოდ დარჩება ქომაგის მეხსიერებაში.

რაც შეეხება კომერციულ მხარეს, როგორც IRB-ის დიდმოხელენი ამტკიცებენ, რაგბიში მსოფლიოს თასი, მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებს და ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს ჩამოუვარდება.

2003 წლის მსოფლიოს თასის პრეზენტაციაზე: რაგბის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე ვერნონ პიუ და ავსტრალიელთა ლეგენდარული ექსკაპიტანი ჯონ ილზი

REUTERS



A U S T R A L I A



საპარტველოს ნაჰრები, ზუღა რიგში: პაბრიკ შორი (მწერთნელი), ღავით გოლდაშვილი, ირაკლი გუნდიშვილი, ტარიელ რაგინიძე, გრებუარ იაშვილი, ზიორგი მსხიძე, მასილ ქახაია, ილია ზაფინიძე, გიგა ღვინძია, კლოდ სერგელი (მთ. მწერთნელი), შუა რიგში: გიორგი ულიზბარაშვილი, მუხომ მთიულეშვილი, გოღარკი შველიძე, ითარ ბარქალაია, ირაკლი აბუსაერიძე, ქვედა რიგში: თაღო ზიზნიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ბადრი ხახელაშვილი, პალიყო ჯიშველაძე, ლევან მახაია, გენია ხვათაშვილი, პანო ნალირაძე, მერაბ ქვირიკაშვილი, გიგა მუხაშვილი (პრეზიდენტი), სხვან: ქანა ალანია, მალხაზ ურჯუკაშვილი.

ივოთერასია ზარმაცუისა ღა თავენაგისათვის სარიელი ბრიგუნეიდან ბოთლი არ ვარდუა

ბურაბ დოლონაშვილი



რიც „ლიბერეცია“, მზად არ აღმოჩნდა. „დინამომ“ თავმოყვარეობა შეინარჩუნა, არ შერცხვა და, რაც მთავარია, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ხორვატი მწვრთნელი ივო შუშაკი სწორ, გამართულ გზას ადგას.

ბრაზილიელ კარლოსს თუ არ ჩავთვლით, გუნდში ისევ ის ფეხბურთელები თამაშობენ, ვისაც ეროვნული ჩემპიონატიდან ვიცნობდით. ივო შუშაკი ერთი შეხედვით ზარმაცი და თავნება მოთამაშეები თანამედროვე ფეხბურთის ელემენტებს აზიარა. „დინამომ“ მოედანზე მოძრაობა დაიწყო, თამაშში გარკვეულ სისტემებს დაემორჩილა და გუნდიც რაღაცას დაემსგავსა.

შუშაკს ჯერ კიდევ არა ჰყავს ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული შემადგენლობა. მეკარეები ზოიძე და გვარამაძე მის ხელში თითქოს საიმედოდ ათამაშდნენ, მაგრამ ჯერ ისე ვერა, გადამწყვეტ მომენტში თანაგუნდლები გოლისგან რომ იხსნან. პრობლემა ფლანგის კონტროლი და ფაქტობრივად „დინამო“ უთავდასხმელად თამაშობს. უფრო ენერგული და მოძრავი გამოთამაშებელიც ერთიორად მოამაგრებდა საქართველოს ათგზის ჩემპიონს.

ამდენი ხარვეზის ფონზე „დინამომ“ კიდევ კარგ შედეგს მიაღწია. „ლიბერეცია“ ამკარად მაღალი კლასის გუნდი იყო, გამართული ტაქტიკითა და მცოდნე მწვრთნელით. ფეხბურთელებს, რომელებსაც კონკ-

რეტულ მატჩებში იტალიის „მილანისა“ და მისი დარი კლუბების დაჩოქება ძალუბით, მხოლოდ რამდენიმე თვის შრომისა და თავდადების ხარჯზე ვერ წააქცევ. სასწაული რომ მომხდარიყო და „დინამოს“ „ლიბერეცია“ გათამაშებიდან გაეგდო, ჩვენები ეიფორიას მიეცემოდნენ. გუნდის ნაკლოვანებები ნათლად არ გამოჩნდებოდა და ის გამარჯვება სამომავლოდ დათვურ სამსახურს გასწევდა. წესი ერთია ყველგან და ყველაფერში: შედეგს რამდენიმე თვეში, თუნდაც ერთ წელიწადში ვერ მიადწევ.

ყველაზე მთავარი კი, ის გვეგონია, რომ თავად დინამოელებმა ირწმუნეს დამრიგებლის სწორი არჩევანი და უხმოდ მიჰყვირიან შუშაკს. იქნებ ბატონმა ივომ რაღაც ახალი გვიოხრას, მეტოქის თამაშში ახალი ნაკლი შეინიშნოს და გავიმარჯვოთო — ფეხბურთელებს ეიმედებოდათ მისი.

შედეგი მოგვიანებით მოვა. არა, იმას ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ შუშაკის დარიგებული „დინამო“ ერთ წელიწადში ჩემპიონთა ლიგაში თუ ვერ მოხვდება, უფვას თასის ფინალში მაინც ითამაშებს, მაგრამ წინსვლა აუცილებლად იქნება. ამისთვის შუშაკს თანამედროვე ევროპული დონის პირობები სჭირდება, გუნდში ახალი ფეხბურთელების მოყვანა საჭირო. თითქოს არც ამჟამინდელი კონტინგენტი ურიგო, მაგრამ მაღალ დონეს სულ სხვა კლასი და გამოცდილება უნდა.

ალექსანდრე ამისულაშვილი და არჩილ სახვაძე (პერში) „დინამოს“ კარს იცავენ

გაგუკა კვანცალიანი

სასწაული არ მოხდა, — ჩხეთში „ლიბერეცთან“ მინიმალური სხვაობით წაგებული მატჩიდან ორი კვირის თავზე „დინამომ“ თბილისშიც ერთი ბურთით წააგო, იბრძოლა, მეტოქეს გვარიანი პრობლემებიც შეუქმნა, მაგრამ სტუმრები ტრიბუნებიდან წამოსულმა ბოთლებისა და ხილბოსტნეულის წვიმამაც ვერ შეაკრთო. „ლიბერეცია“ უფვას თასის გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავიდა.

სიმათლე ვთქვათ, ჩვენი კლუბი ამ ეტაპზე ისეთი დაბალანსებული და განსწავლული გუნდის დასამარცხებლად, როგო-



მასხვანაშვილი გ. შუაღი



კარგი ფეხბურთელია ბრაზილიელი კარლოსი



დავით გვარამაძემ ბურთი მოიგერია

ხომ კარგი ფეხბურთელია ბრაზილიელი კარლოსი, — მისი მეცადინეობით შეტევის მარჯვენა ფლანგზე თითქოს პრობლემა არ არსებობს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში მთელ ფლანგსაც იდეალურად აკონტროლებს, მაგრამ „ლიბერეტთან“ შეხვედრამ თავდაცვისას მისი სუსტი მხარეებიც თვალნათლივ გამოჩინა. ასეა თითქმის ყველა ამპლუაში, ყველა პოზიციაზე. ნაკლის აღმოფხვრას ბევრი ოფლის ღვრა და დრო სჭირდება.

...3 ოქტომბერს ეროვნულ სტადიონზე „დინამო“ თავიდანვე სტუმართა კარზე იყო დაგეშილი, შეტევას მიეძალა და დაწინაურების რამდენიმე შანსიც გაუშვა ხელიდან. ლატვიელი მსაჯი რომანს ლაიუკსიც საჩვენოდ უსტვენდა, მასპინძელს მასპინძლისას არაფერს უკარგავდა, ჩეხ მეკარე კინსკის კი ტრიბუნიდან ხან ქვა-ღორღი ეყრებოდა თავზე, ხანაც — ბოსტნეული. მაინც არ გატყდა „ლიბერეტა“.

მეორე ტაიმში „დინამოს“ აშკარად დალლა დაეტყო. ჩვენები ისე აწყვეტილად ვერ უტევენდნენ, სტუმრებმა კი დამატებითი სიჩქარეები ჩართეს. ერთი ბურთი გაიტანეს,

მსაჯმა არ ჩათვალა, მაგრამ მაღალი კლასის გუნდის მთავარი კოზირი ის არის, რომ გამოცდილ მეტოქეს საგოლედ კიდევ ერთხელ გამოიჭერს. ჰოდა, გაიტანა კიდევ ერთხელ „ლიბერეტმა“. „დინამომ“ პენალტიც ვერ გამოიყენა, ესეც დალილობისა და ზედმეტი დაძაბულობის ბრალი იყო.

მატჩის შემდეგ იყო შუშაკმა სამომავლოდ დაგვაიმედა — „ვერ გეტყვით, მომავალ ზაფხულს „ლიბერეტის“ დონის გუნდს დავამარცხებთ თუ არა, მაგრამ ერთს გპირდებით: „დინამო“ დღევანდელზე გაცილებით ძლიერი გუნდი იქნება“.

იმედი, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა „ლიბერეტთან“ თბილისში თამაშმა „დინამოს“ ერთი ჭკუის სასწავლებელიც დაუტოვა — მაყურებლების მიერ მოედანზე გადმოყრილი ბოთლებისა და სხვა ხარახურისთვის უეფამ ქართული კლუბი დასაჯა. ევროთასის ერთ საშინაო მატჩს „დინამო“ ცარიელი ტრიბუნების შემყურე ჩაატარებს.

არჩილ სახვაძე ბურთისთვის იბრძვის



თბილისი. ეროვნული. 45 000 (გაჰვადობა 70 900)

3 ოქტომბერი.

უაფას თასის პირველი ეტაპის
საპანსუხო მატჩი

დინამო 0:1 ლიბერეცი (2:3)

0:1 ზბონრაკი (64)

დინამო: გვარამაძე, ვაშაძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი, სახვაძე (ი. სამხარაძე 80), გოგობერიშვილი, ბურდული, ანაბაძე, დარასელია, ახალაია (გ.გ. მიქაძე 72)

მწვრთნელი: ივო შუშაკი

ლიბერეცი: კინსკი, ლუკაშო, პოლენაკი, ბილინი, იანუ, ჩაბუკი (ანჩიჩი 60), იოჰანა, ზბონრაკი, პოლაკი, სლუბიჩკა (ზაპოტონჩი 79), ნეზმარი (ბლაზა 90)

მწვრთნელი: ლადისლავ შკორპალი

მსაჯი: რომანს ლაიუკაი (ლატვია)

ამოდის? ნათღეობა?

ანა!

შუქი ჩაქრა, მოედანზე რაიმეს გარჩევა შეუძლებელი

შეიქნა, მაგრამ არის რაღაცეები, რაც სიბნელეში უკეთ ჩანს. მაგალითად, უთავობა.
როცა გაცხადდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს მეტოქე რუსეთი იქნებოდა, გვარიანი ყრიაპული ატყდა: ერთნი კმაყოფილებით ხელეbs იფშენეტდნენ, რას ვისაიმოუნებთ რუსების დამარცხებით. მეორენი კი

გიორგი დარჯანიძე

შიშობდნენ, რუსებთან წაგება ორმაგად მტკივნეული იქნებოდა. ცხადია, ორივენი მართლები იყვნენ, მაგრამ მეორეთა შიშს რომ მეტი საფუძველი ჰქონდა, ვიდრე პირველთა ოპტიმიზმს, ესეც ნათელია.

განა ომი უშუალოდ ბრძოლის ველზე იწყება? ფეხბურთშიც ასეა და საქართველოს ნაკრებმაც პირველი ბრძოლა ადრევე წააგო,

როცა კალენდრის შედგენისას მწვრთნელმა რუსთა შეთავაზებული ვარიანტის მხარდასაჭერად ორივე ხელი აწია. თითქოს რუსები ჩვენთვის სახვირო კალენდარს მოიგონებდნენ.

აი, ასე და კიდევ თურქეთთან და შვეიცარიასთან სამარცხვინოდ წაგებული მატჩებით მივიდა საქართველოს ნაკრები 12 ოქტომბრამდე.

12 ოქტომბერს ოპტიმისტები „ლოკომოტივისკენ“ დაიძრნენ, ოღონდ შეენიშნოთ,





ბაღრი კვიციანი

რომ მათი იმედი მეტწილად ორი მიზეზით იყო განპირობებული: ერთი რომ, ბურთი მრგვალია და შესაძლოა რუსთა კარშიც შეგორდეს, მეორე კი ის, რომ ქართველი ფეხბურთელები რუსებთან თამაშში თავს დადებდნენ. საქართველოს ნაკრების ტაქტიკურ განსწავლულებასა და ტექნიკურ არსენალზე არავინ საუბრობდა.

პესიმიზმი კი, რომლებმაც დაიანგარიშეს ბილეთში გადასახდელი ფულით რამდენი ხინკალი და კათხა ლუდი მოუვიდოდათ, სტადიონის გზას არ დასდგომიან, ისევე როგორც ის ოპტიმისტები, რომლებმაც ბილეთის ფული ვერ შეაგროვეს.

ახლა გვერდი აუვართ სტადიონის წინ გამაგრებულ მზესუმზირის გამყიდველებს, გულშემატკივართა ხელში ან ჯიბეში საეჭვო საგნების აღმოსაჩენად მომართულ პოლიციელებს, სტადიონის ჭიშკრებთან ჩაპრესილ ხალხს და პირდაპირ ტრიბუნაზე მოვკალათდეთ. შენიშვნა: პრესლოჟაში ჯდომას არ გირჩევდით, რადგან სამთავრობო დაცვის მუშაკებმა ჟურნალისტების წინ ცოცხალი მესერი ააგეს და თამაშის ყურება მჯდომარე მდგომარეობაში შეუძლებელი იყო.

და მიუხედავად მატჩის ამგვარ პირობებში ყურებისა, იმის დანახვა თუ როგორ თამაშობდა საქართველოს ნაკრები, მინც შეიძლებოდა. დავინახეთ, რომ ზოგი ფეხბურთელი კარგად თამაშობდა, ზოგი ცუდად, ზოგიც გაუგებარია რატომ იყო მოედანზე. ერთი სიტყვით, რგოლებს შორის კავშირი არ იყო და ეჭვი გვაქვს, მინც-

დამინც ამ მატჩისას კი არ მოიშალა, არც მანამდე არსებულა.

ახლა შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ საქართველოს ნაკრები იმ თამაშს, რომ დაცლოდა, აუცილებლად წააგებდა ან თუნდაც, მოიგებდა, ამიტომ ასე ვთქვათ: ასეთი თამაშით ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულ გუნდებს ვერ ვიხსენებთ და თუ საქართველოს ნაკრების მიზანი სხვა რამაა, ეგეც გვითხრან.

მერე შუქი ჩაქრა, რაც ხალხს არ ესაძიონა, თორემ არავის გაკვირვებია ექვს წუთში პროექტორები ისევ ანთო, თუმცა მხოლოდ იმისთვის, რომ მაღევე ისევ ჩამქრალიყო.

ეს ამბავი ქართული ფეხბურთის მესვეურებსაც არ ესაძიონათ, თუმცა არც მათ გაკვირვებით და სევდილისკენ მიგვიითოეს, აგერ ორი კვირის წინ შუქი „ბეტისი“ —

„რეალის“ მატჩის დროსაც ჩაქრაო. აქაოდა, მხოლოდ ჩვენში როდი ხდება ასეთი რამეებიო.

ვალდებულები ვართ დავეთანხმოთ — „ბეტისი“ — „რეალის“ მატჩისას შუქი მართლაც ჩაქრა, მაგრამ ერთი კითხვა მოსვენებას არ გვაძლევს: სევილიელებს ნეტავ ჩვენსავით არ უკვირთ შუქის ჩაქრობა? ან იქაურები თუ იტყოდნენ, დახეთ, თბილისშიც კი ჩაქრა შუქიო?

ამბობენ, საქართველო — რუსეთის ჩაშლილი თამაში 30 აპრილს გადათამაშდებო და ხაზგასმით დასძენენ, აუცილებლად თბილისშიო. ალბათ იმაზე მიგვიითიბებენ, როგორი ყოჩაღები ვართ, ნეიტრალური მოედნის ვარიანტი რომ ავიცილიეთო.

და მინც, რატომ ჩაქრა შუქი? გამოძიება მიდის, პასუხს შევიძლიათ არც დაელოდოთ.



ბაღრი კვიციანი

დგანან: შოთა არგელაძე, ლევან ციციტიშვილი, ვიორჯი ლობაია, გივი დიდავა, კახა კალაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი.

სხედან: ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლადო ბურდული, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ვიორჯი შაშიაშვილი



მილანი — ბაიერნი. კახა კალაძის და ჯოვანი ელბერის მიტეილობის სამუელ კუფურმა ხმა ააყლა



„ბაიერნი“ ჯგუფში ჩარჩა — ჩემპიონთა ლიგაში აქამდე მომხდარი ამგების ერთ მარტივ წინადადებაში ჩატევის თუ მოვინდომებთ, ალბათ, ეს უნდა გვეთქვა. „ბაიერნის“ ჩარჩენა, თანაც ისე, რომ უფასო თასზეც ვერ გადადის, სენსაციაა, მაგრამ სრულიად მოსალოდნელი სენსაცია.

თავიდან მოვვეთ.

„ბაიერნისა“ და „მილანის“ მიუნხენური მატჩის წინ ხალხი, უფრო სწორად, ფეხბურთის მოყვარულთა უმეტესი ნაწილი გერმანელთა გამარჯვებას, უკიდურეს შემთხვევაში ფრეს წინასწარმეტყველებდა. მიზეზი ასეთი იყო: მართალია, „მილანი“ ძალიან ძლიერია, მაგრამ დამარცხების შემთხვევაში „ბაიერნის“ ჯგუფიდან გასვლა ურთულეს საქმედ იქცევაო. ლიგის „უბაიერნოდ“ წარმოდგენა კი ლამის წარმოუდგენელი რამ იყო.

„ბაიერნმა“ საშინაო მატჩი წააგო (1:2) და ხალხმა ახლა უფრო თამამად თქვა, „სან სიროზე“ უეჭველად მოიგებსო. მიზეზი იგივე იყო, რაც ზემოთ მოგახსენეთ, „ბაიერნი“ ისევ დამარცხდა (1:2) და რომ არა „დეპორტივოს“ მარცხი „ლანსთან“ (1:3), გერმანელები უკვე მეოთხე ტურის შემდეგ გამოემშვიდობებოდნენ ლიგას. მაგრამ „დეპორტივო“ დამარცხდა და „ბაიერნი“ ჯგუფიდან გასვლის მიზეზული შანსი შერჩა.

მესუთე ტურის წინ ხალხმა ერთხელაც იფიქრა, რომ „ბაიერნი“ ამ უმცირესი შანსის გამოყენებას შეძლებდა, ანუ ლა კრუნიაში „დეპორტივოს“ დაამარცხებდა (მიზეზს აღარ გავიმეორებთ), პირიქით კი მოხდა, „ბაიერნმა“ კვლავ 1:2 წააგო.

ნესი ნესია: ერთი ბრანდი უნდა ბავარდეს



ინტერი — რუსენბორგი. ერნან კრესპომ მეხუთე სალივო გოლი გაიტანა



„მანჩესტერის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა თავდაცვლიანად წაივარჯიშა

ახლა უამრავი მიზეზის დასახელება შეიძლება საუკეთესო გერმანული კლუბის ჩავარდნის ასახსნელად: ეფენბერგის გაშვება, ჰიფფელდის შესაძლებლობების ამოწურვა, კანის არასაიმედოობა და მერე დაშვება, „რასორის“ წვიმით გაუღენთილი მოედანიც კი. თუმცა ეს საკითხი ღრმა ანალიზს მოითხოვს, რაც მიუნხენელთა პრეზიდენტის, ფრანც ბეკენბაუერის გასაკეთებელია. ჩვენ კი ლიგას მივუბრუნდეთ.

ზემოთ წარმოდგენილი სენსაცია ვახსენეთ და განვმარტოთ. „ბაიერნის“ ჩარჩენა თავისთავად სენსაციაა, მაგრამ ლიგის წინა სეზონებს თუ გავიხსენებთ, აღმოჩნდება, რომ პირველივე ეტაპიდან წინა სეზონში „ლაიციო“ გავარდა, ამის წინ „იუვენტუსი“ და „ბარსელონა“, იქამდე „არსენალი“ და „მილანი“. ჰოდა, გამოდის, რომ ბოლოა-თა ნაადრევად გავარდნა ლიგისთვის არცთუ უჩვეულო რამაა.

ამ საკითხზე ერთიც დავძინოთ: რას ემსგავსებოდა შეჯიბრება, ყველა მატჩი მოსალოდნელი შედეგით რომ მთავრდებოდეს? ვინძლო, ფეხბურთისკენ გული აღარც გაგიწევდათ.

„ბაიერნისგან“ განსხვავებით, „ლევერკუზენმა“ უხეირო სტარტის ხეირად ქცევა მოახერხა, თავიდან ორი მატჩი წაავო და როცა ჩამოწერეს, ზედისედი სამი გამარჯვებით შემდეგ ეტაპზე გადამდე გავიდა.

ასეთი შემობრუნებები სხვაც იყო. „ნიუკასლმა“ პირველი სამი თამაში რომ წაავო, „ლოკომოტივს“ კი ოთხი ტურის შემდეგ ერთი კინკილა ქულა ჰქონდა, ჯგუფიდან გაღწევის შანსი გაუჩნდათ, თუმცა მათი ბედი ბოლო ტურში გადაწყვედა. აქ ერთი უცნაურობაც ვახსენოთ: შესაძლოა, „ლანსმა“ ათი ქულა დააგროვოს და ჯგუფში ჩარჩეს, ნახსენები „ლოკომოტივი“ კი შემდეგ ეტაპზე შევიდა ქულით გამგრეს.

სხვა უცნაურობებიც მოხდა: „არსენალს“ და „რეალს“ ოთხი ტურის მერე თავი ქულში არ ჰქონდათ, გასასვლელად ქულები სჭირდებოდათ, მეხუთე ტურში ორთავემ წაავო და... ჯგუფიდან გავიდნენ, რაკი სხვა მატჩები ისე დამთავრდა, უკეთესს ვერც ინატრებდნენ.


„არსენალი“ ბოლო დროს წაგებებს დაეჩვია, ჯერ „ოსერთან“ დამარცხდა, მერე „დორტმუნდთან“. ქომავმა ეს აიტაცა, კრიზისზე და დევიდ სიმენის სიბერეზე ლაპარაკი გახშირდა. ერთი მხრივ, სიმენს ასაკი მართლაც შეეპარა, მაგრამ ხომ არ შეიძლება გუნდი ზედიზედ ათ, ოც, ოცდაათ და ასე შემდეგ თამაშს არ აგებდეს — ოდესმე ხომ უნდა წაეგო.

„რეალის“ „რომასთან“ დამარცხების მერე კი (0:1) ყოველგვარი სტატისტიკის ტრფიალებმა უმაღლესი დონის 35 წლის წინანდელი ამბავი 1967 წელს, ჩემპიონთა ლიგის მეთხუთმეტის ნაწილში, „რეალმა“ შინ 0:2 წაავო „ინტერთან“, რის მერეც, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ არც ერთ იტალიურ გუნდს არ გაუხარიაო.

ლიგაში ტერორიზმიც შემოიჭრა. ამ მიზეზით შარშან 12 სექტემბერს გასამართი ყველა მატჩი გადაიდო, ახლა ასეთი ერთია — „ბახელმა“ „სპარტაკთან“ სათამაშოდ მოსკოვში ჩასვლა არ ისურვა და უფუძვამც შევიცარიელთა სურვილი, უფრო სწორად კი შიში, სამართლიანად ცნო, „სპარტაკი“ ვახსენეთ და, ის ერთადერთი გუნდია, „ბაიერნზე“ უარესად რომ თამაშობს — ყველა მატჩი წაავო. ისე, მეოთხე ტურში რუსთა „სახალხო გუნდის“ „ლივერპულთან“ 1:3-ის შემდეგ იქაურმა ვახეთებმა მკითხველს დიდი ამბით ახარეს, როგორც იქნა, ჩვენებმა ლიგაში პირველი გოლი გაიტანესო. გამჭრიახი მკითხველი ამ მილოცვაში ირონიას შენიშნავდა.


ამგვარად, ხუთი ტურის შემდეგ მერე ეტაპზე ცხრა გუნდმა გააღწია: „მილანი“, „ბარსელონა“, „მანჩესტერმა“, „ლევერკუზენმა“, „რეალმა“, „დორტმუნდმა“, „არსენალმა“, „იუვენტუსმა“ და „ვალენსიამ“. ამთაგან მხოლოდ ერთმა, „ბარსელონამ“,

დორტმუნდი — არსენალი. ლონდონელმა პასკალ სივანმა იან კოლერი აღწერა



ასე — ოსერი. დენის რომედალმა დაუცველ კარში გაიტანა

მოახერხა ხუთივე შეხვედრის მოგება. იგივე „მილანსა“ და „მანჩესტერსაც“ შეეძლოთ, მაგრამ არ ინდომეს — როგორც კი თავი სამშვიდობოს დაიგულეს (მეოთხე ტურის მერე), მერე კი არა, მესამე შემადგენლობის ხალხი ათამაშეს და დამარცხდნენ, გული, ცხადია, არ დაწყვეტიათ.



მსოფლიო
პირველობა
სპორტის
კავშირები

ელდარ კურტანიძე ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე დღეებს ითვლის

კურტანიძემ ფარიდანს ქართველოზე გაუღვივა

გიგა გურასაშვილი

როგორ მივიდა კურტანიძე ჩემპიონობამდე, რა გზა გაიარა? ეს მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.

— თავიდანვე ისეთი მონაცემები მქონდა, ან მოჭიდავე უნდა გავმხდარიყავი, ან ძალოსანი, — გვეუბნება ელდარ კურტანიძე. — ამასთან, ჩვენთან ჭიდაობა საკმაოდ განვითარებული იყო. ჩემს არჩევანზე მეზობლებმაც დიდი როლი ითამაშეს. თითქმის მთელი სამეზობლოს ბავშვები ჭიდაობდნენ. თავადაც მიყვარდა თანატოლებთან შეჭიდება. როცა მიგებდნენ, ძალიან განვიციდიდი. მინდოდა, სხვებზე უკეთ მეჭიდავა და მთელი მონღოლებით ვვარჯიშობდი. ვარჯიშში მეცხრე კლასში სოხუმში დავიწყე შოთა კეკელიძის ხელმძღვანელობით. მას შემდეგ ჭიდაობით ვსულდგმულობ. პირველ დიდ წარმატებას 1992 წელს მივაღწიე, როდესაც ევროპის ჩემპიონი გახვდი. აი, ასე დაიწყო ჩემი სპორტული კარიერა.

— მაინც, რა არის თქვენთვის ჭიდაობა და რა უფრო მნიშვნელოვანი იყო თქვენს კარიერაში?

— გზა, რომლითაც დავდივარ და რომელიც ავირჩიე, — ესაა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ჭიდაობა და, საერთოდ, სპორტი ჩემთვის ცხოვრების მიზნად იქცა. ყველა ადამიანი, რომელიც ამ ქვეყნად მოდის, რაღაცას უნდა ემსახურებოდეს. მეც ასე ვარ, — ვემსახურები იმას, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. თუმცა, ისიც კარგად ვიცი, რომ სპორტსმენობა მუდმივი არ არის. დადგება დრო, როდესაც სხვა საქმეს მოვიკიდებ ხელს. მთავარია, მიზანი გქონდეს.

— არაერთხელ ვიასპარეხიათ ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე. სად უფრო ძნელია ჭიდაობა, რომელ გულშემატკივარს გამოარჩევდით?


— ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ ისე არსად ჭირს ჭიდაობა, როგორც ირანში. ამას ბევრი ჩემზე გამოცდილი და სახელოვანი ფალავანიც ამბობს. ირანელებისთვის ჭიდაობა სპორტის უმთავრესი სახეობაა. მათთვის ჭიდაობას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. წარმოდგინეთ, ფანატიკოსი გულშემატკივრის წინაშე ასპარეზობა, მით უმეტეს, რომ მასპინძელთა ინტერესებს მსაჯები ყოველთვის ითვალისწინებენ.

— თეირანში ვამეზავრებისას ფიქრობდით, რომ მსოფლიო ჩემპიონობის

მოპოვებას შეძლებდით? არაერთხელ ახლოს იყავით ჩემპიონობასთან, მაგრამ ბოლოს რატომღაც ხელმოცარული რჩებოდით. ამას როგორ ახსნით?

— მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ოლიმპიური ნაკრების ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა შეკრებაზე მყოფი გუნდის ნაკრები ვარძიაში წაიყვანა. თუ რატომ მაინცდამაინც ვარძიაში, ამას თავისი ისტორია აქვს. რამდენიმე საუკუნის წინათ, როდესაც სპარსელებმა ვარძია ააოხრეს, ერთ-ერთი მონასტრიდან თურმე ოქროს ჯვარი წაიღეს. კახაბრიშვილმა ეს ამბავი გაგვასსენა: მართალია, ოქროს ჯვარს ვეღარ დავიბრუნებთ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი მაინც უნდა წაიპოოდითო. ჩემზე ამან

ელდარ კურტანიძე ატლანტის ოლიმპიურ სარბიელზე



საქართველო
საზღვაო სპორტი



ელდარ კურტანიძე სიდნეის ოლიმპიურ სარბიელზე

ძალიან იმოქმედა. ბედნიერი ვარ, რომ მედლის მოპოვება შევძელი.

— რომელ ბრძოლას გამოყოფდით, როდის ირწმუნეთ, რომ ჩემპიონობის მოპოვება შეგეძლიათ?

— რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გეჩვენოთ, ეს იყო მესამე წრის შეხვედრა, როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფალავანს, რუსეთის სახელით მოსაპარეზე გიორგი გომეზიძეს მოუვუე, დავრწმუნდი, რომ ჩემპიონობა შემიძლო, თუმცა, ვიცოდი, რომ ფინალში ჭიდაობაც არ იქნებოდა იოლი. ყველაზე ძნელი შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონის გომეზიძის დამარცხება გახლდათ.

— რამდენადაც ვიცით, ფერეიდნელი ქართველების სახით გულშემატკივარი საკმაოდ გყავდათ...

— ჩემპიონატზე ასამდე ფერეიდნელი ქართველი გვექომაგობდა, მათ ასობით კილომეტრი გამოიარეს იმისთვის, რომ ჩვენს გვერდით ყოფილიყვნენ და ქართველი კაცის გამარჯვება ეხილათ. გვამხნეებდნენ, როგორც შეეძლოთ. აფრიალებდნენ საქართველოს დროშებს. ხელში ეჭირათ ლოზუნგები: „ჩვენ, ფერეიდნელი ქართველები, თქვენს გვერდით ვართ“. უბედნიერესი კაცი ვიყავი, როდესაც მათ გაბრწყინებულ სახეებს ვხედავდი. სამწუხაროდ, მოხდა ასეთი ფაქტიც: ერთ-ერთმა პოლიციელმა ფერეიდნელ ქართველს ის ლოზუნგი ჩამოართვა, აქაურები გაღიზიანდებიან და ერთი ვაიუსველებელი ატყდებაო. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მათ ზეიმი ქუჩაშიც გააგრძელეს, რის გამოც მოძრაობაც კი გადაიკეტა.

— როგორ გვინათ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც შეძლებთ გამარჯვებას?

— ათენშიც უნდა გავიმარჯვო. ოლიმპი-

ური ჩემპიონის ტიტულია მაკლია და ყველანაირად ვეცდები, ეს დანაკლისიც ავინაზღაურო. მით უმეტეს, ახლა უფრო მეტი თვითრწმენა მაქვს. მსოფლიოს ჩემპიონობაში აქამდე ყოველთვის რაღაც მიშლიდა ხელს. ფინალში, როდესაც ირანელს ვეპაექებოდი, თავიდან ცოტა შუბოჭილი ვიყავი, მაგრამ ბოლოსკენ თვითრწმენა შემემატა და ამით შევბა ვიგრძენი. ვფიქრობ, გადავლახე ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც აქამდე ყოველთვის ხელს მიშლიდა.

— ახლა, როდესაც მსოფლიო ჩემპიონ ხართ, ალბათ, ამ გამარჯვებისთვის დაწესებულ პრემიასაც მიიღებთ...

— მართალი გითხრათ, მეეჭვება, იმიტომ რომ შარშანდელი პრემიაც არ ამტკიცებ. რა-

ტომდაც ზოგს ჩვენი არ ესმის. ჩვენ სპორტსმენები ვართ, და ყოველდღიურად ვვარჯიშობთ. სხვა შემოსავლის წყარო არ გვაქვია. თან სტუდენტი ვარ და ოჯახიც მყავს. სხვა ჩემს ადგილზე მყოფი ყველაფერს ერთად ვერ გასწვდება. შეიძლება ითქვას, რომ საპრიზო ადგილისთვის დაწესებული პრემია ჩვენი ხელფასია. სპორტსმენთა მიმართ უყურადღებობის გამოა, რომ ახალგაზრდები საზღვარგარეთისკენ იყურებიან.

— როგორც ვიცით, მსოფლიოს ნაკრებში მივიწვიეს. რამეს ხომ არ გვეტყვით ამის შესახებ?

— ლუიზიანის შტატში, კერძოდ, ახალ ორლეანში, 7-10 ნოემბერს გაიმართება მატჩი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს ნაკრებს შორის. 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიო ნაკრების ღირსების დაცვა მე მომანდეს. ეს არის პირადად ჩემი, ჩემი მწვრთნელისა და, საერთოდ, ჭიდაობის ქართული სკოლის აღიარება.


— ადრე თუ ყოფილხართ მიწვეული?

— მსოფლიო ნაკრებში 1993 წელსაც მიმიწვიეს, მაგრამ ისე მოხდა, რომ სარბიელზე ვერც გავედი. უფრო სწორად, მაშინ რუსეთმა ამ შეჯიბრების მასპინძელმა, საორგანიზაციო საკითხები ვერ მოაგვარა. რუსეთი — მსოფლიო ნაკრები ჩაიშალა, ახლა კი ასპარეზობას ამერიკელები მასპინძლობენ და, ვფიქრობ, ამას ხელს ვერაფერი შეუშლის.


— სეზონის დამთავრების მერე რას აპირებთ?

— შეიძლება ერთი თვით გერმანიაში წავიდე ერთ-ერთ კლუბში სავარჯიშოდ. იქ უკეთესი სავარჯიშო პირობების მიუხედავად, ამაზე მეტხანს ვერ დავრჩები, რადგან ყოველთვის მიჭირს სხვაგან ყოფნა. გაისიდან კი ისევ დავიწყებ ახალი სეზონისთვის მზადებას. იმედი მაქვს, ახალ სეზონში სპორტსმენებს უფრო ამოვივადებინა მხარში.

სიდნეის ოლიმპიური თამაშების პრიზორები: ელადიმერ ჭანტურია, მუხრან ვახტანგაძე, ელდარ კურტანიძე და მურმან ჩაჩუა ოცნებით ისევ ათენის ანტიკურ ოლიმპიურ სტადიონზე არიან



წინათგრობა



გიორგი დარჯანიძე

1994 წლის სეზონის პირველი გრანპრი 27 მარტს ბრაზილიაში, სან პაულუს „ინტერლაგოსზე“ გაიმართა. „სარბიელის“ მეფორმულემ რბოლის მიმოხილვისას მაშინ დაწერა: „საბურავების მეორედ შეცვლის შემდეგ სენამ თანდათან უმატა ტემპს და ყოველ წრეზე თითო წამს უეცრად შუმახერს. მაგრამ მთ ბრძოლას ბოლომდე გაგრძელება არ ეწერა — ფინიშამდე 15 წრით ადრე ბრაზილიელს არცთუ რთულ მოსახვევში მანქანა მოუსრივდა და შუა გზაზე გაუხიზრა. „ჯადოქარმა“ ვერაფრით შეძლო „უილიამსის“ ადგილიდან დაძვრა — ათასობით გაწვილებულმა მაყურებელმა მაშინვე დატოვა ავტოდრომი“.

სამი კვირის მერე იაპონიაში, „აიდაზე“, სეზონის მეორე, „წყნარი ოკეანის გრანპრი“ გათამაშდა. „სარბიელის“ მეფორმულე „სტრატეგიის“ საბაზისზე მეტრის გავლის შემდეგ აირტონ სენას „უილიამსს“ უკნიდან ოდნავ შეეხო ყოფილი თანაგუნდელის მიკა ჰაკინენის „მაკლარენი“ და ტრასიდან ქვიშის დამცვე ზონაში გაასრივდა. იქ კი გზაბნეულმა ნიკოლა ლარინიმ, ვინც „ფერარის“ საჭესთან ტრავმირებული ჟან ალუზი შეცვალა, საბოლოოდ ავტობა ბრაზილიელის „უილიამსს“ და ბრძოლიდან გამოთიშა“.

1 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე იმავე მეფორმულემ დაწერა: „სენას ასეთი უიდელო სტარტი 11-წლიანი კარიერის მანძილზე არ ჰქონია. გამარჯვებას ვინაა ჩვიის, ორივე რბოლაში ფინიშამდე ვერ შეძლო მიღწევა“.

ნიშამდე ვერ შეძლო მიღწევა“. 1 მაისს მართლმადიდებლური აღდგომა იყო, მომდევნო „სარბიელის“ პირველ გვერდზე კი აირტონ სენას დიდი პორტრეტი ეხატა და დიდი ასოებით ეწერა: „სენას სიკვდილი“. ქვემოთ მცირე ტექსტი იყო: „იმოლას ჩქაროსნულ ტრასაზე გამარჯვების კარგი შანსი მაქვს და წინა ეტაპებზე დანაკარგის ანაზღაურებასაც ვეცდები, — უთქვამს ფორმულა-1-ის ავტორბოლაში მსოფლიოს სამეზბის ჩემპიონს. წინა კვირადღის რბოლა აირტონ სენასთვის საბედისწერო გამოდგა“.

მსოფლიოს გაზეთების პირველი გვერდები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს.

აირტონ სენა „იმოლაზე“ სან მარინოს გრან პრის მოგებას აპირებდა, თუმცა დაღუპვის მერე გამოჩნდა, რომ მას მინც ჰქონია ავი წინათგრობა.

სენა სან მარინოში ხუთშაბათს ჩავიდა და „იმოლასგან“ ათი კილომეტრის დაშორებით, დასავლეთისკენ მდებარე პაწაწინა საკურორტო ქალაქ კასტელ სან პეტროში, სასტუმრო „გასტელოში“ დაბინავდა. 1989 წლის მერე სან მარინოს გრანპრის ჩასული, მუდამ იქ ჩერდებოდა, თან ყოველთვის ერთსა და იმავე ნომერში. სასტუმროს პორტიემ იმ ხუთშაბათსაც მე-200 ნომრის გასაღები გაუწოდა.

პარასკევს თავისუფალი ვაკეში იყო და სენა ჩვეულებრივ ლიდერობდა. მეწყვილე ლეიონ პილს ყოველ წრეზე თითო წამს უეცრად. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ტრავმის პირველ მომასწავებლად რუბენს ბარიკელოს ავარია იქცა.

კალიფორნიის დაწყებულ 15 წუთში ბარიკელოს „ჯორდანის“ „ვარიანტი“ ბასას“ მოსახვევში ტრასიდან გადავიდა, საათში 140 კილომეტრის სიჩქარით გაფრინდა და საშინელი ძალით შეასკდა საბურავების ბარიერს. მოგვიანებით გაიხსენეს, რომ ხუთი წლით ადრე მსგავსი რამ გერმანულ ბერგერს შემთხვა.



გაოგნებული იყო. მას შეჯახება არ დაუნახავს და თავისი თანაშემწე ამბის გასაგებად სასწრაფოდ „ჯორდანის“ ბოქსში გაგზავნა, თუმცა ლოდინი ვერ შეძლო და ავტოდრომის სამედიცინო პუნქტში გაიქცა.

„გონს რომ მოვედი, პირველი აირტონი დავინახე, — ჰყვებოდა მერე ბარიკელი — თვალები ცრემლიანი ჰქონდა. ასეთი ნადვლიანი არასდროს მენახა. ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს მისი ძმა ყოფილიყავი.“ ბარიკელოს მონახულების

მერე სენა კალიფორნიის მიუბრუნდა და დღის საუკეთესო შედეგით მოიპოვა, მაგრამ ეს ძველი სენა აღარ იყო. მისი ჩვეული ცივის სისხლიანობა სადღაც გამქრალიყო. შუა სესიის დროს კი უეცრად მეგობარ ჟურნალისტს დაუძახა და ადრე დაპირებული ავტოგრაფიანი ფოტო გაუწოდა, რომლის გადაცემაც სულ ავიწყლებოდა. „ისეთი შთაბეჭდილება დამჩნა, რომ საკვირაო რბოლის წინ ყველა საქმის მოთავეებს ცდილობდა — გაიხსენა ჟურნალისტმა.

სენას უბრატესობა პარასკევსე გამოჩნდა, მაგრამ ბოლიდიან გადმოსული მანქანით უკმაყოფილო იყო. რაღაცას გაცხარებული უხსნიდა „უილიამსის“ ინჟინერს დევიდ ბრაუნს. მოგვიანებით პრესკონფერენციის დროც შეამცირა, ტექნიკური პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელიო.

მარკ ფოგარტი, „კარვიკის“ რეპორტიორი: „გაოცებული დავრჩი, სენას საოცრად უჭირდა ჩვენს კითხვებზე ყურადღების კონცენტრირება. არადა, ყოველთვის, როცა ინტერვიუზე თანხმდებოდა, გულიანად გველაპარაკებოდა, იმ დღეს კი ისე დიდხანს ფიქრობდა ყოველ კითხვაზე, გავიფიქრე, მგონი, ძალიან ხმადაბლა ვკითხვებით და არ ესმის-მეთქი. აშკარად სულ სხვა რამეებზე ფიქრობდა.“

მეორე დღეს, შაბათს, უბედურება დატრიალდა, დაიღუპა როლანდ რაცენბერგერი. ავსტრიელი პილოტის „სიმტკე“ საათში 200 კმ. სიჩქარით გადავიდა ტრასიდან და ბეტონის კედელს შეასკდა. რაცენბერგერმა ტვინის უძვივარი ტრავმა მიიღო და გონს მოუსვლელად გარდაიცვალა.

„ძალიან მძიმე სეზონი გველის. ყველანი ბედნიერები ვიქნებით, უბედური შემთხვევების გარეშე თუ ჩაივლის“ — თქვა სენამ ერთი თვით ადრემისი „შეში მართლდებოდა.“

რაცენბერგერის ავარიას სენა „უილიამსის“ ბოქსში, მონიტორზე უყურებდა. სახეზე ხელები აიფარა. ათიოდე წამს გაუნძრევლად იდგა. მერე ბოქსიდან გამოვიდა. იქვე პეის-კარი იდგა, სენა ჩაჯდა და ავარიის ადგილისკენ გააქროლა. ამ დროს ავსტრიელი უკვე წაეყვანათ სამედლიცინო ცენტრში, სენას მხოლოდ ბოლიდის ნარჩენები დახვდა. მანქანა შეატრიალა და ბოქსებისკენ წავიდა. იქ თავისი მეგობარი პროფესორი სიდ უოტკინსი დანახა და ამბის გასაგებად მასთან მივიდა.

„შეშლილი სახე ჰქონდა, — გაისენა უოტკინსმა, — მას ხომ არასდროს ენახა პილოტის სიკვდილი. ფორმულაში მანამდე დიდი ხნის განმავლობაში არავინ დაღუპულა.“

მარტინ უაიტაკერი, შეჯიბრების ერთ-ერთი ორგანიზატორი: „სენა უოტკინსს ელაპარაკებოდა. მერე ბოქსისკენ წავიდა. მივედი და კკითხე, როგორ ხარ-მეთქი. არ მიაპუსხა, უზარო თვალებით შემომხედა და

გამცილდა. ასეთი არასდროს ყოფილა.“

სენას ბოლიდისკენ გახედვა აღარ უნდოდა, თითქოს საკვირაო რბოლაში მონაწილეობაც გადაიფიქრა. ეს ამბავი თვით ფრენკ უილიამსს მოახსენეს. „უილიამსის“ მეთაურმა საღამოს სენასთან დალაპარაკება გადაწყვიტა. სენას იმ დღესაც ჰქონდა პრესკონფერენცია, მაგრამ არ წავიდა.

სამაგიეროდ მასთან სტიუარტები მივიდნენ და პეის-კარის უნებართვოდ წაყვანისთვის პასუხი მოსთხოვეს. სენა გახელდა და ავინა.

დღის დარჩენილი დრო სენა დამშვიდებლად ცდილობდა. თავის საცოლეს ადრიანა გალისტუსს დაურეკა, უთხრა, რომ კვირას რბოლაზე გასვლა არ სურდა, თუმცა ცუდი წინათგონობა არ უხსენებია.

„გატეხილი ჩანდა, — თქვა ადრიანამ — მიმეორებდა, რბოლაზე არ გავალ. ასეთი რამ მანამდე არასდროს უთქვამს.“

როდესაც ფრენკ უილიამსმა სენას სასტუმროში მიაკითხა, ბრაზილიელი ცოტათი დამშვიდებული დახვდა. ისაუბრეს და სენა რბოლაზე დათანხმდა.

კვირა. სენა რბოლაზე მუდამ დიდი აძალით მიდიოდა, იმ დღეს კი სულ რამდენიმე კაცი ახლდა — ძმა, ლეონარდო, მენეჯერი, ფიზიოთერაპევტი და დიეტოლოგი. ადრიანა არ გაჰყოლია. აირტონის ოჯახთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და ივარაუდეს, ლეონარდოს გვერდით ჯდომას მოერიდაო.

რბოლის წინ ბრიფინგზე სენა გერჰარდ ბერგერთან ერთად მივიდა და უსაფრთხოების საგანგებო კომისიის შექმნა მოითხოვა. მისი თქმით, კომისიაში ყოფილ პილოტთაგან ნიკი ლაუდა უნდა შესულიყო.

ბრიფინგის მერე სენა „იმოლაზე“ კომენტატორად მყოფ ალენ პროსტთან მივიდა და უთხრა: „ჩვენ ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა გვქონდა. იმედი მაქვს, ოღესმე მეგობრებად ვიქცევით.“ სენასგან ასეთი საქციელი გამაოგნებელი იყო თუ რატომ, ქვემოთ მოგახსენებთ.

„მაკლარენის“ ბოსმა რონი დენისმა, ფეხბურთის ენაზე რომ ვთქვათ, რაღაც ახლანდელი „რეალის“ მსგავსი გუნდის შექმნა მოინდომა, დიდძალი ფული დახარჯა და თავისი გაიტანა — 1988 წელს პირველ ნომრად ალენ პროსტი ჰყავდა,



PARIS MATCH



PARIS MATCH




PARIS MATCH

მილტონ და სილვა იმხელა მამულის პატრონი იყო, ოთხი წლის აირტონს უზარმაზარი ავტოდრომიც აუშენა

მეორედ კი — აირტონ სენა. გუნდმა ყველანაირი რეკორდი მოხსნა, მაგრამ ის, რაც პილოტებს შორის ხდებოდა... მეორეობა არც ერთს არ სურდა და მათი დაპირისპირება აშკარა სიძულვილში გადაიზარდა. ორი ეპიზოდი გავიხსენოთ:

1988 წელს მეცამეტე ეტაპი პორტუგალიის „ემტორილზე“ გაიმართა. პოული პროსტისა იყო, სენას კი კვალიფიკაციაზე ძრავამ უმტყუნა და სტარტზე მეექვსე ნომრად გავიდა. სენამ რბოლა დიდებულად დაიწყო და პროსტს წამოეწია, მაგრამ



ადრიან ვალისტუ იმ საბედისწერო დღეს სენას იმდღაზე არ გაპყლია

ფრანგის მანერმა, თანაც სრულ სიჩქარეზე ტრასიდან სანახევროდ გადაავლო. სენამ მანც შეძლო თანაგუნდელისთვის გაესწრო. ახლა პროსტის დაწვევის ჯერი დადგა და სენამ სამაგიერო გადაუხადა — საათში 270 კილომეტრის სიჩქარით მიმავალი ტრასიდან გადაავლო. პროსტი კინაღამ სერიოზულად დაშავდა. მომდევნო წელს „იმდღაზე“ სენამ და პროსტმა რბოლის წინ ჯენტლმენური შეთანხმება დადეს: პირველ მოსახვევში უფრო ადრე შესულისთვის მეორეს ხელი არ უნდა შეემაღა. იდეა პროსტისგან მოდიოდა.

პირველ მოსახვევში პირველი სენა შევიდა და მესამე წრის მერე გვარიანადაც იგებდა. მეოთხე წრეზე „ტამბურელოს“ მოსახვევში ავარია მოხდა, გერპარდ ბერგერი საშინელი სისწრაფით ჯვბირს შეასკდა და რბოლა შეწყვედა. რესტარტის მერე უკვე პროსტი დაწინაურდა, სენამ კი შეთანხმება დაივიწყა და... ყველაფერი შეჯახებით დასრულდა.

პროსტი გაცოფებული იყო, ხოლო სენამ გულბურჯვილო კაცის იერით განაცხადა: „პროსტს

რლაც თავში ვერა აქვს კარგად. სიჩქარე აკრფელი მქონდა და რა უნდა მეტა, გაჭერებულიყავი?“

პროსტმა სენა და მილიანდ ვუჩი კაცური შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა და სეზონის დასრულების მერე „ფერარიში“ გადაარგდა.

ამიტომაც იყო, რომ 1994 წლის 1 მაისს სენას მიერ პროსტისთვის ნათქვამმა სიტყვებმა ყველა, მათ შორის გააოგნა თავად პროსტიც.

დაუბრუნდეთ იმ ტრაგიკულ დღეს.

ჯემი ბრიტო, ჟურნალისტი: „სენა ბოლიდს რაღაც უხალისოდ მიუახლოვდა. საბურავები შეათვალთვალა, მერე ანტიფორის სიმყარე შეამოწმა, თითქოს რაღაც ეკვები აწვალბდა.“

ბეტის ასუნსაო, სენას მდივანი: „საერთოდ, აირტონი ენერგიულად იხურავდა ჩაფხუტს, მაშინ კი რაღაც გაუბედავად იქცეოდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რბოლაზე არც ფიქრობდა.“

რბოლა ორ საათზე დაიწყო. სენა პელეტონს წინ ჩაუდგა. მალე ერთი უსიამოვნებაც მოხდა: პედრო ლამის „ლოტუსი“ იურკე ლენტოს „ბენტონს“

შეასკდა, ბორბალი მოსძვრა, ჯვბირს მიღმა გადაფრინდა და ცხრა მაყურებელი დაშავდა.

რბოლა პეის-კარის რეჟიმში გაგრძელდა. ამ პერიოდში სენა უკანასკნელად დაუკავშირდა ბოქსს. როცა უსაფრთხოების მანქანა ტრასიდან გადავიდა, სენა წინ გაიჭრა — ტრაგედია იმდენი წრეა რჩებოდა.

უკვე ნახსენებ „ტამბურელოს“ მოსახვევში სენა საათში 190 კილომეტრის სიჩქარით შეიჭრა, გადავარდა და საბურავებით დაუცველ ბეტონის კედელს შეასკდა. ბოლიდის მონოკოკი არ დაზიანებულა, ხოლო პილოტის ოდნავ მოძრავი თავი მისი გადარჩენის იმედს ჯერ კიდევ ტოვებდა. სენა სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს. გასინჯვის მერე ექიმებმა გამო-

აცხადეს, რომ მისი ტვინი უკვე მკვდარი იყო და გულის მუშაობას ხელოვნურად ინარჩუნებდნენ. იტალიური კანონებით, ტვინის სიკვდილის შემდეგ გულს აპარატით 12 საათის განმავლობაში ამუშავებენ და მერე თიშავენ...

სენას დალუპვისთანავე ბრაზილიის პრეზიდენტმა ქვეყანაში სამდივანი ეროვნული გლოვა გამოაცხადა...

როცა კომისრები სენას დალუწილ ბოლიდს ათვალთვლებდნენ, ლამაზად დაკეცილი ავსტრიის დროშა იპოვეს — ავი წინათ-გრძნობის მიუხედავად, აირტონ სენას სჯეროდა გამარჯვებისა, რომელიც ორი დღით ადრე დალუპული როლანდ რაცენბერგერის ხსოვნისთვის უნდოდა მიეძღვნა...

აირტონ სენა და სილვა სან პაულუს მახლობლად დაიბადა 1960 წლის 21 მარტს მამამისი მილტონ და სილვა მდიდარი კაცი იყო, მანქანებით ვაჭრობდა და ფერმა და საწარმოც ჰქონდა. დედა, ნეიდა სენა ნეაპოლელი ემიგრანტი იყო.

აირტონი ოჯახში პირველი შვილი იყო და მისთვის აუხდელი ოცნება არ არსებობდა აკი მოგახსენეთ, მამამისი ძალიან მდიდარი კაცი იყო. ვანა ბერგ ბავშვს აქვს საკუთარი ავტორიზმი? ოთხი წლის აირტონს კი ჰქონდა და მთელი დღეები დააქროლებდა თავის პირველ კარტს. მილტონ და სილვას თავად არ მოსვლია აზრად შვილის ასეთი საჩუქრით გახარება — ოთხი წლის აირტონმა უკვე იცოდა, რაც უნდოდა. ამასთანავე, სისწრაფის შიში არ ჰქონდა და სწრაფად ქრილვას არც მშობლებიც უშლიდნენ.

როცა აირტონი ათი წლის გახდა, მამამ დაბადების დღეს უფრო მძლავრი მანქანა აჩუქა და პირადი მენეჯერი დაუქირავა — არმანდო ბოტელიო. 15 წლის სენამ თავისი პირველი ჯი-ლდო მოიგო. მერე მიჰყვა და მიჰყვა...

აირტონ სენას შედეგები. უორაგულა 1

სეზონი	გუნდი	ეტაპი	გრანპრი	პოლუი	ქულა	საბოლოო ადგილი
1994	უილიამსი	3	0	3	0	
1993	მაკლერენი	16	5	1	73	2
1992	მაკლერენი	16	3	1	50	4
1991	მაკლერენი	16	7	8	96	ჩემპიონი
1990	მაკლერენი	16	6	10	78	ჩემპიონი
1989	მაკლერენი	16	6	13	60	2
1988	მაკლერენი	16	8	13	94	ჩემპიონი
1987	ლოტუსი	16	2	1	57	3
1986	ლოტუსი	16	2	8	55	4
1985	ლოტუსი	16	2	7	38	4
1984	ტოლემანი	15	0	0	13	9

